ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ანგარიში 2025 წლის 10 დეკემბრამდე საკრებულოში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ

ანგარიში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო საჯარო ინფორმაციის გეცემის მოთხოვნით შემოსულ განცხადებებზე რეაგირებას ახდენდა საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49–ე მუხლის შესაბამისად დადგენილი წესის საფუძველზე.

ა) სულ საანგარიშო პერიოდში 2025 წლის 10 დეკემბრანდე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულია 17 მოთხოვნა. ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში, მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევა არ დაფიქსირებულა, ამ დროისათვის განხილვის ეტაპზე არ არის არცერთი მოთხოვნა. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

ბ) საანგარიშო პერიოდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებდა საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 36–ე მუხლის შესაბამისად დადგენილი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე საკრებულოს აპარატის უფროსი ლენა კალანდაძე.

გ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სისტემაში არსებობს შემოსული და გასული კორესპოდენციების მონაცემთა ბაზა .

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება და გაცემა ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება

პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს პერსონალურ მონაცემებზე არაუფლებამოსილ პირთა წვდომას.

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის და პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის განმავლობაში არ გამოვლენილა.

ვ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევა არ დაფიქსირებულა და აქედან გამომდინარე გადაწყვეტილების გასაჩივრების საფუძველი არ ყოფილა.

ზ)საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას ადგილი არ ჰქონია და აქედან გამომდინარე ხარჯების დაკისრებაც არ მომხდარა.